# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N9

2022 წლის 28 აპრილი
ქ. ონი

**ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს " ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს" (ს/კ 437979332) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს: ა(ა)იპ „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში"-დან საჩუქრად მიღებული, ა) ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული ავტომობილის: FORD პიკაპის (შავი, რეგისტრაციის ნომერი DD495SD, გამოშვების წელი 2003,) შპს „ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისთვის" (ს/კ 437979332) პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. ონის მუნიციპალიტეტსა და ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის დონაციის ხელშეკრულების 1 მუხლის 1.4 პუნქტის შესაბამისად ავტომობილი გამოყენებული უნდა იქნას მუნიციპალური მომსახურების დასაფარავად შემდეგი სოფლებისათვის: საკაო, ღები, ჭიორა, ლაგვანთა, ხიდეშლები, ბორცო, მაჟიეთი, მრავალმალი, ბაჯიხევი, გომი, ჯინჭვისი, ნიგავზები, ფარავნეში, ფსორი, წედისი და ქვედი.

3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე ზაჩანა მარკოიშვილი